



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ახალი საქმე“

„ახალი საქმე“, ყოველდღიური მეცნიერული, პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულებისა.

გამოდიოდა თბილისში 1911. რედაქტორ-გამომცემელი – გ. ჯაჭვაძე. გაზეთში შუქდებოდა პოლიტიკისა და ეკონ., თეატრ. და მუსიკალური ხელოვნ., აგრეთვე სტუდენტთა მოძრაობისა და სახ. უნ-ტის საჭირობოროტო საკითხები, სტატისტიკა. საგაზეთო წერილების უმეტესობა ხელმოწერილია ფსევდონიმებით (უცხო ასკანელი, ნაცნობი, ისვარ და სხვ.). გაზეთში გამოქვეყნდა ი. ბახტაძის, ვ. ემხვარის, ა. ჟორჯოლიანის პუბლიც. ნაწარმოებები, გ. ქუჩიშვილის, ნ. ჩხიკვაძის, ლ. გეგეჭკორის, ვ. ტუქსაშვილის და სხვათა ლექსები. დაიხურა თბილ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, რედაქტორი სამართალში მისცეს.

დ. შანშიაშვილი.
